პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ივნისი, პარასკევი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 137 (15958)

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა აქტიურ არჩევლისადმი, მოქალაქისადმი.

საკავშირო ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მოქალაქეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. თქვენი ერთსულოვანი ხმის მიცემა კვლავ მკაფიოდ გამოხატავს, რომ იწონებთ და მხარს უჭერთ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი კვლავაც თავდადებით იბრძოლოთ კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის!



საბჭოთა დემოკრატიის აღმშენებლობითი ძალა

ამომრჩეველთა შეხვედრა ნ. ვ. პოდგორნისთან

ჩვენი ნამშობლის ამომრჩეველები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის ემზადებიან როგორც დიდი დღესასწაულისათვის. 16 ივნისს მილიონობით მშრომელი მივა საარჩევნო უბნებში, რათა ხმა მისცეს სამშობლოს საუკეთესო შვილებს, არჩევნების დღე გახდება ახალი, მკაფიო გამოხატულება საბჭოთა ადამიანების მტკიცე გადაწყვეტილებისა — კვლავაც თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის.

ამ არჩევნებში, ისევე როგორც წინათ, „კომუნისტური პარტია გამოდის ერთიან მწყობრში უპარტიოთა მხარდამხარ. - საბელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თავიანთ პირველ დეპუტატობის კანდიდატად ქვეყნის მშრომელებმა ერთსულოვნად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ეს მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები 13 ივნისს შეიკრიბნენ სსრ კავშირის დიდ თეატრში, რათა შეხვედროდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნინს.**

წინასაარჩევნო კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, დედაქალაქის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციათა წარმომადგენლები, წარმოების წარჩინებული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კრება გახსნა პარტიის ლენინგრადის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ი. რეპნიკოვმა. მან აღნიშნა, რომ ლენინგრადის რაიონის მშრომელები ყველა მოსკოველთან ერთად აქტიურად იბრძვიან პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

საერთო კრებაზე პეტრე ალექსეევის სახელობის წმინდა მაუდის ფაბრიკის, ვოიკოვის სახელობის თუჯსამსმელი ქარხნის, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის, საპროექტო-ხაძებო ინსტიტუტ „პოდროეექტის“ კოლექტივებმა, თქვა შემდეგ ი. ი. რეპნიკოვმა, ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინგრადის საარჩევნო ოლქში ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნინ. ჩვენ ვამაყობთ, რომ ნ. ვ. პოდგორნინი უკვე მრავალი წელია სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების დეპუტატია ჩვენს საარჩევნო ოლქში და დირსეულად ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას.

შეკრებილებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

პეტრე ალექსეევის სახელობის წმინდა მაუდის ფაბრიკის მქსოველმა ვ. გ. ლებედევამ — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ილია პარაკა ნ. ვ. პოდგორნის ცხოვრებისა და შრომითი გზის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე მისი მოღვაწეობის შესახებ. მან ამომრჩეველებს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოიდგნენ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ვერტმფრინავმშენებლობის კათედრის გამგე პროფესორი ი. პ. ბრატუხინი, მოსკოვის მანქანათსაშენებელი ქარხნის „ავანგარდის“ მსხმელი ი. თ. სერებინი, № 156 სკოლის მასწავლებელი ა. ნ. ავაპოვა, სსრ კავშირის სახმშენის № 2 საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ვ. მ. კოსოგოვი. მომავალი არჩევნების თავისებურება, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, ის არის, რომ ეწყობა ვითარებაში, როცა ქვეყნის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ვითარდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მძლავრი ზემოქმედებით. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა კავშირის ყველა ამომრჩეველისადმი, მოქალაქეებისადმი მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ადამიანების გულში. ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტში ღირსეულად არის შეფასებული პარტიისა და ხალხის შრომის შედეგები ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინანდელი არჩევნების შემდგომ განვლილ პერიოდში, დამაჯერებლად არის გამუქებული სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში მოპოვებული ისტორიული მიღწევები, დასახულია კომუნისტური მშენებლობის უახლოესი ამოცანები.

დარბაზში შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ნ. ვ. პოდგორნის, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

ჩვენი ქვეყანა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენას ეგებება, თქვა ნ. ვ. პოდგორნინმ. ორი დღის შემდეგ საბჭოთა კავშირის მოქალაქენი აირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, და მშრომელთა მილიონობით ხმა, რომლებსაც კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკს მისცემენ, საყოველთაო-სახალხო შეფასება იქნება კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობისა.

ახლანდელი საარჩევნო კამპანიის პროცესში, საბჭოთა ადამიანების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა ისევ და ისევ მოწმობს, რომ ისინი მთლიანად იწონებენ ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მშრომელთა მრავალათასიან წინასაარჩევნო კრებებზე უსაზღვრო ნდობას უცხადებენ კომუნისტურ პარტიას, ერთსულოვნად უჭერენ მხარს მის საარჩევნო პლატფორმას. მკაფიოდ და დამაჯერებლად ლაპარაკობდნენ ამის შესახებ დღეკანდელ შეხვედრაზეც.

ნ. ვ. პოდგორნინმ გულთბილი მადლობა უძღვნა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მშრომელებს, არმიისა და ფლოტის მეომრებს, ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებთან ერთად დასახელეს ავი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ისევე როგორც ჩემი ამხანაგები ცენტრალურ კომიტეტში, განაგრძო დეპუტატობის კანდიდატმა, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შემადგენლობაში დასახელებული ყველა კომუნისტი, მე ამ პატივს მივაკუთნებ ჩვენს ლენინურ პარტიას, რომელმაც საბჭოთა ადამიანები აღაფრთოვანა ახალი სამყაროს შენებლობის დიადი გმირობისათვის და მტკიცედ მოუძღვის მას სანუკვარი მიზნისაკენ.

იყო საბჭოთა დეპუტატი. — ეს არა მარტო დიდი პატივია, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობაც არის. ეს ნიშნავს — ხედავდე მშრომელთა ძირეულ საჭიროებებს, გამოხატავდე მათს ნება-სურვილს და ინტერესებს. ეს ნიშნავს — აქტიურად მონაწილეობდე საშინაო და საგარეო პოლიტიკის მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტაში, პასუხს აგებდე სახელმწიფოს საქმეებისა და მდგომარეობისათვის. იყო საბჭოების ქვეყნის დეპუტატი — ნიშნავს თავდადებით იბრძოდე კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის.

ნ. ვ. პოდგორნინმ დედაქალაქის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის მშრომელებს აღუთქვა, რომ ეცდება მთელი თავისი საქმიანობით გაამართლოს გაწეული ნდობა. რომ კვალავაც მოახმარს მთელ თავის ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ხალხის დეპუტატის მაღალი მისიის შესრულებას, ჩვენი ლენინური პარტიის საქმის სამსახურს.

საბჭოთა ადამიანს, სადაც უნდა მუშაობდეს, რა პოსტიც უნდა ეჭიროს, ახასიათებს მზრუნველი, ნამდვილი მეურნის დამოკიდებულება ამ უბნისადმიც, რომელიც მას უშუალოდ აქვს მინდობილი, და სახელმწიფოს საქმეებისადმიც. ასეთია მისი მიდგომა ცხოვრებისადმი, ასეთია მისი, თუ გნებავთ, სოციალური ფსიქოლოგია. აი რატომ არის, რომ ამომრჩეველთან შეხვედრები ჩვენში იქცევა ხოლმე ფიდა სერიოზულ სჯა-ბაასად როგორც ამა თუ იმ საარჩევნო ოლქის საქმეებზე, ისე ქვეყნის მთელი ხალხის გეგმებსა და ამოცანებზე.

არჩევნების შორის პერიოდში ჩვენი სახელმწიფო ორგანოების მუშაობის შედეგების, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობის შედეგების თავისებური შეჯამებაა ახლანდელი საარჩევნო კამპანია. იგი ბაღდა სოციალიზმის მიღწევათა, საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობათა დათვალიერება, იმის დამაჯერებელი დადასტურება, რომ მთელი ხალხი იწონებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით მისი პოლიტბიუროს ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობას. ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ: ქვეყანაში მტკიცედ დამკვიდრდა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის კეთილნაყოფიერი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, ერთიანობისა, რომელიც შეადგენს ჩვენი საზოგადოების ფასდაუდებელ მონაპოვარს, განამტკიცებს მის მონოლითურ შეკავშირებას, აძლიერებს საბჭოთა ადამიანების ენთუზიაზმსა და ენერგიას, რაზმავს მათ ახალი დიადი მიღწევების მოსაპოვებლად.

ხალხის თავდადებულ შრომაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი აქტიური მონაწილეობით ვითარდება და უმჯობესდება საბჭოთა დემოკრატია — კომუნისტური მშენებლობის ეფექტიანი და სიამდო ინსტრუმენტი. ჩვენმა ხალხმა თავისი დემოკრატია მოიპოვა დიდი ოქტომბრის დღეებში, დაიცვა იგი ბრძოლებში უცხოელი ინტერვენტებისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, განამტკიცა პირველი ხუთწლედების მსელელობაში, ხატოვნად რომ ვთქვათ, ხმა მისცა მას სამამულო ომის ბრძოლებში. და დღეს თავიანთი კონკრეტული საქმეებით ქვეყნის მშრომელები კვლავ და კვლავ აღასტურებენ ურყევ ერთგულებას საბჭოთა დემოკრატიის მაღალი პრინციპებისადმი, ურყევ მისწრაფებას კვლავაც დაიცვან ისინი და გადაჰრიან უარყონ სხვადასხვა სახის „შემოთავაზებული“ რეკომენდაციები ბურჟუაზიული სტანდარტებისა და ნიმუშების მიხედვით სოციალისტური დემოკრატიის „გაუმჯობესების“ შესახებ. საბჭოთა დემოკრატიის აქვს თავისი სახე, თავისი ტრადიციები, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის თავისი კრიტერიუმები. გაბატონებული ექსპლოატატორული ელიტის პრივილეგიათა სადარაჯოზე მდგომი ბურჟუაზიული წყობილების საპირისპიროდ სოციალისტური საზოგადოების მთელი საქმიანობა გამსჭვალულია ზრუნვით მშრომელ ადამიანებზე, შეესაბამება მის ძირეულ ინტერესებს. სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა რეალურად უზრუნველყოფს მშრომელთა ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს, მიზნად ისახავს მათს მაქსიმალურ ჩაბმას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მდგომი საჭირბოროტო ამოცანების გადაწყვეტაში, ამასთან სოციალისტური დემოკრატია მოიცავს არა მარტო პოლიტიკური ცხოვრების სფეროს, არამედ ეკონომიკას, წარმოების მართვას, ესე იგი მშრომელთა ყოველდღიურ საჭიროებებთან და ინტერესებთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებს.

ეს განყენებული მსჯელობა კი არა, კომუნისტური პარტიის პრინციპული პოლიტიკა, თვით ლენინური ცენტრალიზმი, ამ ფუძეზე ეფუძნება ჩვენ საზოგადოების ფასდაუდებელ მონაპოვარს, განამტკიცებს მის მონოლითურ შეკავშირებას, აძლიერებს საბჭოთა ადამიანების ენთუზიაზმსა და ენერგიას, რაზმავს მათ ახალი დიადი მიღწევების მოსაპოვებლად.

(ლასასრული მე-2 გვ.).

აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეის XI სესიის თავმჯდომარეს

სსრ კავშირს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მივესალმებით აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის ასამბლეის — თავისუფალი აფრიკის ამ უმაღლესი ფორუმის XI სესიის მონაწილეებს.

წინა სესიის დროიდან განვლილი წელი აღინიშნა აფრიკის ხალხთა დიდი მიღწევებით ეროვნული სუვერენიტეტის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკონომიური თავისთავადობის განმტკიცებისათვის, კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის უკანასკნელი კერების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ეროვნული განთავისუფლების ძალების დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი გახდა აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის შექმნა, რომელიც ცნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ. პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმის დამხობა — მისი კრახი კი ბევრ მხრივ იყო წინასწარ განსაზღვრული გვინეა-ბისაუს, ანგოლისა და მოზამბიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმატებებით — ახალ, ხელშემწყობ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს ამ ქვეყნების ხალხთა სუვერენული და დამოუკიდებელი განვითარების ხელშეუშვალი უფლება.

სასიხარულოა, რომ აფრიკის ქვეყნების ხალხები თანმიმდევრულად განამტკიცებენ სუვერენიტეტს თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრეების მიმართ, ძლევენ იმპერიალიზმის წინააღმდეგობას და აღწევენ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნას სამართლიან და თანასწორუფლებიან საფუძველზე. აფრიკის ქვეყნები სულ უფრო მტკიცედ მიდიან სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების გზით, რომლებიც ფართო მასების ინტერესებს შეესაბამებიან.

დაძაბულობის შენელების პროცესი, რაც მსოფლიოში მიმდინარეობს, ხელს უწყობს აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას. შეგიდობის განმტკიცების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ყველა — დიდი და პატარა — ქვეყნის მეცადინეობით დაძაბულობის შენელება გასდეს შეუქცევადი, გავრცელდეს ყველა კონტინენტზე. ბუნებრივია, რომ ამ კეთილშობილური ამოცანის გადაჭრაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ და შეუძლიათ კიდეც შეასრულონ აფრიკის სახელმწიფოებმა, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო კლიმატის საერთო გაუმჯობესებაში.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის ძალები უბრძოლველად არ თმობენ თავიანთ პოზიციებს, ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ შეინარჩუნონ პლაცდარმები აფრიკის კონტინენტზეც. ამისთვის წინააღმდეგობის გასაწევად არის საჭიროდ და საიმედო იარაღი — აფრიკის სახელმწიფოების ერთიანობა და შეკავშირება, მათი სულ უფრო მტკიცე კავშირი მათს ბუნებრივ და საიმედო მოკავშირეებთან — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს დიდი ვ. ი. ლენინის ანდერძს — განუმტკიცოთ სოლიდარობა ხალხებთან, რომლებიც ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის იბრძვიან, გაეწიოთ მათ საჭირო დახმარება და მხარდაჭერა. ეს კურსი უცვლელია. იგი დადასტურებულია სკკპ XXIV ყრილობის მიერ, ჩვენი სახელმწიფოს მთელი პრაქტიკული საქმიანობით. სსრ კავშირი, რომლის ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ისტორიული დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, აქტიურად იღვწის მისი სრული განხორციელებისათვის. ჩვენი ქვეყანა სიტყვით და საქმით უწევს დახმარებას ხალხებს, დედამიწის რომელ ნაწილშიც უნდა იბრძოდნენ ისინი თავიანთი ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის ანტიიმპერიალისტურ, ანტიკოლონიურ საქმიანობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს აფრიკის სახელმწიფოებთან სსრ კავშირის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

ვუსურვებთ აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის ასამბლეის XI სესიის მონაწილეებს წარმატებით მუშაობას აფრიკის ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ.

ნ. პოდგორნი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სრულყოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადება და ვაჭრობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვაიმართა თათბირი, რომელზეც ყოველმხრივ განიხილეს კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების და ვაჭრობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებული და ქალაქების თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის ამ პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების პრობლემები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები **პ. ვილაშვილი, შ. კიკნაძე, ზ. პატარიძე, ე. შევარდნაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ბოლნისის, გარდაბნისა და მარნეულის რაიკომების, ვაჭრობის, საბჭოთა მეურნეობების, დამზადების სამინისტროების, ცალკეშირის ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და დამზადების მუშაკებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის ბოსტნეულით, კარტოფილითა და ხილით მომარაგების გაუმჯობესებაში. როცა ამ უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მუშაობას იწყებდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მხედველობაში ჰქონდა, რომ სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტა მოახდენდა, უწინარეს ყოვლისა, დადებთის გავლენას მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კარტოფილითა და ბოსტნეულით შეუფერხებელი მომარაგება ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი რგოლია, ქალაქების მშრომელთა შემოსავლის ზრდაზე რეალური გავლენის მოხდენის უმოკლესი გზა.

თათბირზე აღინიშნა, რომ, თუმცა ამ დარგში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთები. თათბირის მუშაობა მიზნად ისახავდა გადაუჭრელი საკითხებისა და პრობლემების განხილვას, არსებული სიძნელეთა დაძლევას, ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ამასთან მთავარი ყურადღება დაეთმო ამ ღონისძიებათა განხილვას, რომელთა რეალიზაცია უახლოეს მომავალში ეფექტიან გავლენას მოახდენს კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების და ამ პროდუქტების ვაჭრობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

თათბირის მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ვაჭრობისა და დამზადების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირეული გაუმჯობესების საკითხებმა. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა თბილისსა და რუსთავში აშენდეს დიდი მაღაზიები და სავაჭრო ცენტრები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის სავაჭრო მთელი თანამედროვე მოწყობილობით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სავაჭრო საწარმოთა აღჭურვას საცავებით, მაცივრებითა და კარტოფილისა და ბოსტნეულის სარეცხი-სახარისხებელი დანადგარებით. თათბირზე აღიძრა მოსახლეობისაგან შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების ანაზღაურების პრინციპების სრულყოფის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. კერძოდ, წამოაყენეს წინადადება, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩამბარებლებს ანგარიშს უსწორებდნენ უშუალოდ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. ითქვა აგრეთვე, რომ საჭიროა გულდასმით შეისწავლონ და გადაწყვიტონ ზოგიერთი ბოსტნეულის ხარისხის დადგენის საკითხი.

დიდი ყურადღება დაეთმო თათბირზე იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ თბილი დამზადებული კარტოფილისა და ბოსტნეულის სწრაფ და უდანაკარგო გადაზიდას. ეს ეკავშირება იმას, რომ საჭიროა გაიზარდოს სპეციალიზებული ავტოტრანსპორტის პარკი, გაუმჯობესდეს საბითუმო ბაზების მუშაობა, აშენდეს დროებითი კარტოფილ და ბოსტნეულსაცავები დამზადების ადგილებზე, კარდინალურად გადაიჭრას დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების ტარით უზრუნველყოფის საკითხი.

თათბირზე აღინიშნა, რომ არის ნაკლოვანებანი კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და ვაჭრობის მართვის სტრუქტურაში, რომ ეს სტრუქტურა უნდა გაუმჯობესდეს. ამასთანავე ხაზგასმით ითქვა, რომ არსებული სტრუქტურის ყველა რეზერვსა და შესაძლებლობებს როდი იყენებენ სრულად. ჯერ კიდევ ბევრი შემოხვევაა, როცა სავაჭრო და დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკები უხეშად არღვევენ შრომისა და საწარმოო დისციპლინას.

კარტოფილითა და ბოსტნეულით მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებაში დიდმნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება ბოსტნეულის საფუძურებად თესვის შემდგომი გაფართოების, მებოსტნეობის მეურნეობათა სპეციალიზაციის ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მის თანაბარზომიერ მიწოდებას. დამამზადებელმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა გააფართოონ კარტოფილისა და ბოსტნეულის ასორტიმენტი და აამაღლონ მათი ხარისხი, მიაღწიონ იმას, რომ სავაჭრო ქსელში კარტოფილი და ბოსტნეული იყიდებოდეს წლის ყოველ დროს.

თათბირზე შეიქმნა სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებსაც დავალათ შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი და რეკომენდაციები კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების და ამ პროდუქტებით ვაჭრობის სრულყოფის პრობლემათა განხილვის საფუძველზე.

თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა ასეთივე თათბირი მოეწყოს ქუთაისში დასავლეთ საქართველოს სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების მოსახლეობის „კარტოფილითა და ბოსტნეულით მომარაგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემების განსახილველად.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. (საინფორმო).

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში და მხატვართა და არქიტექტორთა კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის **თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია** დაჯილდოდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1974 წლის 13 ივნისი.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კომპოზიტორ შ. მ. მშველიძის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით კომპოზიტორი შალვა მაჩეილის-ძე **მშველიძე** დაჯილდოდეს **ხალხთა მეგობრობის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1974 წლის 13 ივნისი.

სოციალისტური შრომითის ჯანტზე

292.000 ტონა ჩაისათვის!

ხელვაჩაურელ მეჩაიეთა წარმატება

გვესაუბრება პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი ნ. სარიშვილი

— პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან აღფრთოვანებულმა ხელვაჩაურის რაიონის მეჩაიეებმა ახალი, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს, — განაცხადა „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელთან ნ. ჯანდაგასთან საუბარში პარტიის ხელვაჩაურის რაკომის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. სარიშვილმა.

ხელვაჩაურელმა მეჩაიეებმა წელს ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 13.200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მაის-ივნისში კი უნდა მოეკრიფათ 6.559 ტონა, 11 ივნისის ჩათვლით მოკრიფეს და ჩაის შაბრიკებს ჩაბარეს 6.572 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. მათ ეს წარმატება მიეღწიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ამრიგად, ხელვაჩაურელებმა მაის-ივნისის გეგმა 116,2 პროცენტით გაანადღეს, ხოლო ვალდებულება — 100,2 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 1.400 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი.

წელს მეჩაიეებმა საყურადღებო სიახლე განახორციელეს. რაიონში დანერგა ჩაის ფოთლის რბოლური კრეფა. ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა მოპოვებული წარმატება. ვეტერანი მეჩაიეების — დარეჯან თურმანიძის, ხატერ გორგილაძის, ნანა ლომინაძის, ულფიე დუმბაძის შრომითის საქმიანობას მხარი აუბეს ახალგაზრდა მეჩაიეებმა: ახალშენელმა ნაზი დუმბაძემ, რომელმაც უკვე მოკრიფა ორი ტონა ჩაის ფოთოლი, კომკავშირელმა ციალა თურმანიძემ (მოკრეფილი აქვს 2 ტონაზე მეტი). ახალგაზრდობის შემართებას სათავეში უდგანან კომკავშირის რაიკომი და ადგილებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს ახალგაზრდებს ახალშენის საბრიგადო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნაზი ჭინკაძე. მან დღემდე მოკრიფა 2.200 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ და ამით გეგმა 135 პროცენტით შეასრულა. ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება „წითელი კალათის“ პრიზის მოსაპოვებლად. შეჯიბრების შედეგები ხისტატურად მოწმდება და ჯამდება. პირველი შედეგებით „წითელი კალათის“ პრიზი მოიპოვა 54-მა მეჩაიემ. შემოღებულია გამარჯვებულთა და ჩამორჩენილთა ერთდროული ფურცლები. შეჯიბრებაში ჩამორჩენილებს ეზაზვნებათ ფურცელი — სამდერაკი, გამარჯვებულებს კი საქაბი.

ხელვაჩაურის რაიონის მეჩაიეები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ახალ დიდ წარმატებას მიაღწევენ წლიური გეგმა-ვალდებულების ვადამდე შესრულების საქმეში. მეჩაიეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს ივნისის ბოლომდე კიდევ მოკრიფონ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

• • •

სურათზე: ხელვა

საბჭოთა დემოკრატიის აღმშენებლობითი ძალა

(დასასრული)

საბჭოთა სინამდვილეა. „სოციალისტური დემოკრატიის აზრი და შინაარსია სულ უფრო ფართო მასების მონაწილეობა. ჩვენი ქვეყნის, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა, მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდი ინიციატივა ჩვენში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს ემსახურება. ასეთი დემოკრატია ჩვენთვის საარსებო მოთხოვნილებაა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების აუცილებელი პირობაა“. საბჭოთა დემოკრატის ფუძემდებელ პრინციპებს აქვს, ამრიგად, საკვანძო კოპერეტული შინაარსი. ისინი განსაზღვრავენ პარტიისა და სახელმწიფოს პრაქტიკულ საქმიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ჩვენს მიდგომას სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მომწიფებულ ამოცანათა გადაწყვეტისადმი.

დღეს საქმე ეხება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მიერ თავიანთი მრავალფეროვანი ფუნქციების სულ უფრო სრულად განხორციელებას, სოციალისტური სახალხო წარმომადგენლობის ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო აპარატის სრულყოფას, მის მუშაობაში მეცნიერული საწყისების დანერგვას. საქმე ეხება იგივეთვე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის, მოსახლეობის თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის ფორმების შემდგომ გამდიდრებას, და, ბოლოს, საქმე ეხება მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობას მეურნეობის მართვაში, საწარმოო თანამბრძოლების, მუშათა და კოლმეურნეთა კრებების აქტიურობისა და ავტორიტეტის ამაღლებაში, მუშაობაში საჯაროობის გაძლიერებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, იმას, რომ იგაოქმედოთ მასებთან კავშირის ყველა ბერკეტი, ფართო ასპარეზი შევუქმნათ ხალხს ინიციატივისა და გამოცდილებას.

პარტია, რომელიც დღენიადაგ მუშაობს ყველა ამ მიმართულებით, ყოველმხრივ თავდაესწინებს საზოგადოების განვითარების მიღწეულ დონეს, ხელმძღვანელობს იმ ამოცანათა ხასიათით, რომლებსაც წყვეტს მოცემულ ეტაპზე. სწორედ ასეთი მიდგომის აუცილებლობას მოითხოვდა ვ. ი. ლენინი, როცა საბჭოთა სისტემის სრულყოფის ამოცანებს იხილავდა ქვეყნის საწარმოო ძალებისა და კულტურის დონესთან მჭიდრო კავშირით.

საბჭოთა დემოკრატიის განვითარების ახალ ეტაპს, თუ გამოვყოფთ მთავარს, განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა პარტიის მიერ XXIV ყრილობაზე დასახული ძირეული ამოცანა — შეავერთოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და სოციალიზმის უპირატესობანი. ამ ამოცანის გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების შემდგომი წინსვლა, მისი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პერსპექტივები მრავალი წლით. სამეურნეო ცხოვრების ორგანიზაციის საერთო-სახელმწიფო ხასიათი, წარმოების უმაგალითო მასშტაბი, მისი ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა დაბჯენილებთ მოითხოვენ არა ათეულ, არა ასეულათასობით, არამედ მილიონობით ადამიანს, არსებითად, ქვეყნის მთელი მოზრდილი მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას მართვაში, ეკონომიურ ამოცანათა გადაწყვეტაში.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის გიგანტური მუშაობის შედეგები შეჯამებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაარჩევნო მიმართვაში. ნ. ვ. პოდგორნინ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი პოლიტიკური ძალის ამ დოკუმენტში კონცენტრირებული ფორმით არის გამოხატული ჩვენი საზოგადოების განვითარების ძირითადი მაჩვენებელები, განვლილი ოთხი წლის მანძილზე საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის შესანიშნავი ნაყოფი. პარტიის სიტყვა მიმართულია ყველა საბჭოთა ადამიანისადმი — მუშებისადმი, კოლმეურნეებისადმი, ინტელიგენციისადმი, ქალებისა და ახალგაზრდობისადმი, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებისადმი, რომლებიც საიმედოდ დგანან მშვიდობისა და სოციალიზმის დიდ მონაპოვართა სადარაჯოზე.

მიმართვაში მოყვანილია დამაჯერებელი მონაცემები მოწმობენ საბჭოთა წყობილების დინამიზმს, გეგმების რეალობას, მეეკონომიკურად ადასტურებენ პარტიის კურსის, მის მიერ დასახული წინსვლის პერსპექტივების სისწორეს. მაგრამ რა შთამბეჭდავიც უნდა იყოს ჩვენი მიღწევები, მათ არ უნდა შეგვიმალონ ხელი ვზიდავდეთ არსებულ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს. ისინი კი, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არცთუ ცოტაა. მთელი რიგი საწარმოების მიერ საწარმოო გეგმების შეუსრულებლობა, ბევრი სახეობის პროდუქციის დაბალი ხარისხი, ჩამორჩენა ხელახალ ტექნიკურ აღჭურვაში, ცალკეული ობიექტების დაგვიანებით ამოქმედება, საპროექტო სამძლავრეთა ნელი ათვისება — ყოველივე ეს აფერხებს ეკონომიკის ზრდას, მისი განვითარების ტემპს.

ამ უკანასკნელ წლებში ცოტა რამ როდი გაკეთდა ამ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ხუთწლედის მესამე წელი. ბევრი რამ კეთდება მომდინარე წელსაც, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთელი ხუთწლიანი გეგმის ბედს. ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის მძლავრ მამოძრავებელ ძალას ახლა, იქე როგორც წინათ, წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის. პარტია დარწმუნებულია, რომ ჩვენი ბრიგი მუშათა კლასი, საბჭოთა გლეხობა, სახელოვანი ინტელიგენცია ღირსეულად გაართმევენ თავს დასახულ ამოცანებს, თავდადებული შრომით ამყარებენ განმტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

როგორც ყოველთვის, საბჭოთა მშრომელების ბანაგარში არიან მოსკოვის — ჩვენი ძველი და მარად ახალგაზრდა დედაქალაქის, რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ქალაქის საწარმოო კოლექტივები. მოსკოვის სახელთან დაკავშირებულია საშრომლოს ისტორიის გმირული ფურცლები თვითეული საბჭოთა ადამიანის სიუკეთესო ფიქრები, მისწრაფებანი და იმედები. აქ სულ უფრო ხალული ხდება სანიმუშო კომუნისტური ქალაქის ნიშნები, ინდუსტრიის გიგანტების თვმოყრა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ლაბორატორია, მსოფლიო კულტურის უდიდესი საგანძური, ცხოვრებისა და შრომის ახალი ფორმების მოწინავე ხაზი — აი რა არის დღეს ჩვენი ლამაზი მოსკოვი, მომავლისაკენ მიმსწრაფი გმირი ქალაქი.

დედაქალაქის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს 1973 წლის გეგმა, წარმატებით მუშაობენ ხუთწლედის მეოთხე წელს. სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მოსკოვის ბევრი ქარხნისა და ფაბრიკის, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციის, საქალაქო მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურების მშრომელებმა. ორატორმა აღნიშნა მოსკოველების მიღწევები საქონლის ხარისხის გაუმჯობესებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდაში, დედაქალაქის ლენინგრადის რაიონის მშრომელთა წვლილი მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა გადაწყვეტაში.

შესანიშნავია მოსკოვის ლენინგრადის რაიონის მშრომელთა მიღწევები. დარწმუნებული ვართ, რომ მოიპოვებთ ახალ დიდ წარმატებებსაც. მოსკოველები ჰომ საბჭოთა მშრომელების ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენენ, ბევრი სახელოვანი საქმისა და წამოწყების ინიციატორები არიან. თქვენი წარმატებების საწინდარია დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მდიდარი გამოცდილება და სიმწიფე, პარტიის მოსკოვის საქალაქო და რაიონული კომიტეტების დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უნარიანი ხელმძღვანელობა.

ჩვენი ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, განაგრძო ნ. ვ. პოდგორნინმ, მისი მტკიცე წინსვლა საშუალებას გვაძლევს დავსახოთ დღეს ისეთი ამოცანები, რომლებიც გუშინ ოცნებაც კი არ შეგვეძლო, საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ ფართო კომპლექსური მიდგომა დიდი სახალხო-სამეურნეო და სოციალური პრობლემების გადაჭრისადმი.

ავიღოთ, მაგალითად, სოფლის მეურნეობა. იგი ვითარდება სწრაფი ტემპით, ინტენსიფიკაციის გზით, კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის, სასოფლო-სამეურნეო შრომის, ენერგოალჭურვილობის, სპეციალიზაციისა და მეურნეობათაშორისი კოოპერაციის, მოწინავე გამოცდილების უფრო სრული გამოყენების საფუძველზე. წლითიწლობით იზრდება კაპიტალდაბანდებანი ამ საარსებო მნიშვნელობის დარგში. მაგალითად, შემდგომ ხუთწლედში გათვალისწინებულია დამატებით გამოვყოთ 35 მილიარდი მანეთი მარტო ერთი გრძელვადიანი პროგრამის — რუსეთის ფედერაციის არაშავნიადაგიანი ზონის განვითარების უზრუნველსაყოფად. მისი რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს არსებითად გავადიდოთ მრავალი მილიონი ჰექტარი მიწის ნაყოფიერება. გარდაქმნის უდიდეს სივრცეებს, ქვეყნის ცენტრში სადაც საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ოთხმეხის მეოთხედი ცხოვრობს.

კეთილნაყოფიერი გარდაქმნები შეეხება ამ ვრცელი მხარის ცხოვრების, შეიძლება ითქვას, ყველა სფერო. რუსეთის არაშავნიადაგიანი ზონის განვითარებას მოჰყვება ქვეყნის საწარმოო ძალების უფრო რაციონალური განაწილება, იგი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ძირეული ამოცანის — ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების აღმოფხვრის ამოცანის გადაჭრის გზაზე. ეს პროგრამა თავისი მნიშვნელობით საქართველოსად შეიძლება დავაყენოთ საბჭოთა ხალხის ისეთი მიღწევების რიგში, როგორიც იყო პირველ ხუთწლედთა გეგმების განხორციელება, სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი რეკონსტრუქცია, ყაბირის თვისება.

კომპლექსური მიდგომა, უახლოეს საპერიოდთა და პერსპექტივის შეხამება ახასიათებს დღეს პარტიის მთელ ეკონომიურ პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ეს კურსი განსაზღვრავს ქვეყნის სამეურნეო განვითარების საერთო ორიენტაციას. იგი უაღრესად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული როგორც მეცხრე ხუთწლედის ძირითადი ამოცანა და თანმიმდევრულად ხორციელდება.

ორატორმა ეს დებულება დაადასტურა ლენინგრადის რაიონის მშრომელთა ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითით და თქვა:

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება ჩვეული საქმე, ისეთი რამ გახდა ჩვენთვის, რომელიც თავისთავად იგულისხმება. მაგრამ ცხადია სხვა რამეც: კეთილდღეობის ყოველგვარი წყარო მოითხოვს ჩვენი საზოგადოების მატერიალური ბაზის შესაბამის უზრუნველყოფას, გაფართოებას. ხოლო ეროვნული სიმდიდრის გადიდების და, მაშასადამე, ადამიანის ადამიანების ცხოვრების განუხრელი გაუმჯობესების გზა მხოლოდ ერთია — შრომა, შეგნებული, თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომა.

კაპიტალიზმი მისი ქანცგამაცლელი სისტემით, უმოშავარია მუდმივი არმიით შიშს ჰგვრის მშრომელებს ხელიდ ნელი ფიქრებით ამ ფასად აიძულებს მათ უკიდურესი დაძაბვით იმუშაონ. სოციალიზმი უარყოფს ამ ანტიჰუმანურ პრაქტიკას, უპირისპირებს მას თავის მიდგომას: იგი ადამიანს წარმოების მატერიალურ ბლიკ, თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის სიხარულს ანიჭებს.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში შრომის ნაყოფიერების ფენომენი ჭარბეულდება სრული დასაქმებით, კონსტიტუციით, საბჭოთა კანონმდებლობით გარანტირებული მოქალაქეთა უფლებების განუხრელად დაცვით. ამიტომ ვასაგენია, რომ შრომისადმი შეგნებული, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ხდება ჩვენში.

მუშის ღირსება, მოვალეობის გრძნობა, მუშური სიტყვისადმი ერთგულება — აი რამ განსაზღვრა ეს განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანების ოდენ-ოდენ შრომისადმი, კოლექტივის საქმეებისადმი. მაგრამ არის, სამწუხაროდ, მოქალაქეთა ნაწილი, რომელიც დიდი სამოქმედო სარგებლობს სოციალიზმის სიკეთით, მაგრამ ამასთან ცდილობს მიიღოს იგი თავისთვის რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით, ესე იგი საზოგადოებას მისცეს რაც შეიძლება ნაკლები, ხოლო მისგან მიიღოს რაც შეიძლება მეტი. ასეთი, უკიცრავად პასუხია, მომმართველური მიდგომა ძირფესვიანად ეწინააღმდეგება სოციალიზმის პრინციპებს, ჩვენი საზოგადოების სამართლებრივ და მორალურ ნორმებს. იგი ეწინააღმდეგება საბჭოთა ცხოვრების წესს და მის მტკიცე წინაღმდეგობას უნდა უწევდეს ყველა მშრომელ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებიცა და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა შრომითი კოლექტივები, სადაც განსაკუთრებით კარგად ჩანს თვითეული მუშაკის ღირსება და ნაკლი, მისი დამოკიდებულება შრომისადმი.

აქ ძნელად თუ დაალწევს თავს ამხანაგების მხრივ გაკიცხვას ზარმაცი, წუნისმკეთებელი, ლოთი, გამქცველი, სახალხო დოვლათის დამტაცებელი, სხვადასხვა ჯურის ბაქიები, რომლებიც ცდილობენ ლამაზი, მყვირალა ფრაზით შენიღბონ ან ფაქტი, რომ მათ ან არ ეიცინ ან არა სურთ ბეჯითი, თავდაუზოგავი შრომა. ამავე დროს შრომითი კოლექტივის ჯანსაღ „მიკროკლიმატში“ შეიძლება ყველაზე უფრო წარმატებით ვიბრძოლოთ სამსახურებრივი მოვალეობის პორტატად გამოყენების, შრომის ანაზღაურებაში გათანაბრების, წამატებებისა და სხვა დარღვევათა ფაქტების წინააღმდეგაც, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება.

დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, როგორც ეს ერთხელ კიდევ მთელი ძალით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმზე, ახლა უპირველეს მნიშვნელობას იძენს, საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმე ხდება. რაც უფრო მაღალია საზოგადოების ყველა წევრის ორგანიზებულობა და თვითდისციპლინა, მით უფრო ეფექტიანად მოქმედებს სოციალისტური დემოკრატიის სისტემა, მით უფრო სრულად ხორციელდება მშრომელთა უფლებები.

ასეთი ამოცანის შესრულების აუცილებელი პირობაა სამეურნეო ორგანოების მუშაობის ხასიათისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა, მართვის მთელი საქმის გაუმჯობესება. კომპლექსური და პერსპექტიული მიდგომა სახალხო-სამეურნეო ამოცანებისადმი მოითხოვს გადაწყვეტათა გულდასმით მეცნიერულ დასაბუთებას, სახელმწიფო მექანიზმის ყველა რგოლის სიზუსტესა და სამწყობრეს. თვითეული შეცდომა დაგეგმაში, შეცდომები კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს, თვითეული ხარვეზი მუშაობაში დღეს განსაკუთრებით ძვირი გვიჯდება.

მართვის ზუსტი ორგანიზაციის ინტერესებისათვის საჭიროა დავძლიოთ უინიციატივობა და გულგრილობა საქმისადმი, აღვკვეთოთ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების გამოვლენებანი. ნ. ვ. პოდგორნინმ თქვა, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან მოდის ბევრი წერილი, რომლებშიც ჩვეიან ამა თუ იმ ნაკლოს გამო. ეს საჩივრები ერთგვარად დასაბუთებულია, მაგრამ ადგილზე ისინი არ წყდება. ხოლო აი რა არის საეჭვისმო. ცენტრიდან ჩარევის შემდეგ ნაკლოვანებანი, როგორც წესი, სწორდება, ამასთან ასწორებენ თვითონ ადგილობრივი ორგანოები, საკუთარი ძალებით. ეს ნიშნავს, რომ იქ, სადაც ადგილობრივი ამხანაგები ინერენ ჯეროვან ინიციატივას, ყურადღებას, სიბეჯითესა და ზრუნვას, შესაბამის შესაძლებლობებსა და სახსრებსაც პოულობენ მათს აღმოსაფხვრელად.

ვ. ი. ლენინი მკაცრად გმობდა ცალკეულ ხელმძღვანელებს ამისათვის, რომ არ იცოდნენ და არ სურდათ საკითხების გადაწყვეტა დამოუკიდებლად, მოითხოვდა მინდობილი საქმისათვის უმკაცრესი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაწესებას. ასრულეს რა ლენინის ანდერძს, პარტია მტკიცედ ილაშქრებს ზოგიერთი მუშაკის ჯერ კიდევ ხშირი უსუსურობისა და უგულგულობის, მათი იმ ცდების წინააღმდეგ, რომ სხვებს დააკისრონ პასუხისმგებლობა, „თავი დაიხსნიონ ყოველ შემთხვევისათვის“, რა თქმა უნდა, შეურიგებლობა ბიუროკრატიზმისადმი, ფორმალიზმისადმი არა თუ არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს კიდეც მოქმედი ნორმების განუხრელ შესრულებას, სიმკაცრეს, სიზუსტეს და კეთილსინდისიერებას დადგენილი წესების შესრულებაში.

სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, ორგანიზებულობის ყოველმხრივ ამაღლებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა დაგვისახეს ფართო შესაძლებლობები მეურნეობისა და კულტურის განვითარებაზე აქტიური ზემოქმედებისათვის, წარმოადგენენ მათი მრავალმხრივი საქმიანობის საბრძოლო პროგრამას.

დღის წესრიგში დასმულია ამოცანა, რომ მაქსიმალურად ავამაღლოთ ყოველი დონის საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობა იმ მეურნეობის, იმ უბნის მდგომარეობისათვის, რომლებიც მათ უშუალოდ აქვთ მინდობილი. ადგილობრივი საბჭოებისათვის, ეს უწინარეს ყოვლისა არის რაიონის, ქალაქის, ოლქის, მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება, არსებული შესაძლებლობებისა და რესურსების უნარიანი გამოყენება მისი ეფექტიანობის, რენტაბელობის, პროდუქტიულობის, ყოველი დონისძიებით ამაღლებისათვის. იზრდება ადგილობრივი საბჭოების როლი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო საწარმოების, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების, ესე იგი იმ სფეროების მუშაობის ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეში, რომლებიც უშუალოდ ეხებიან მშრომელთა ინტერესებს. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოების კოორდინაციას მათს ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობის ბევრ საკითხში.

კონკრეტულ სამეურნეო შედეგებში, ამომრჩეველთა განაწესების პრაქტიკულ შესრულებაში, ზრუნვაში იმისათვის, რომ უკეთ მუშაობდეს და ცხოვრობდეს საბჭოთა ადამიანი, ვხედავთ საბჭოთა ორგანოების საქმიანობის რეალურ ნაყოფს. ეს არის მინდობილი საქმისათვის თვითეული ადგილობრივი ორგანოს მუშაკისადმი მომთხოვნელობის ამაღლების არსი. უნდა მივაღწიოთ, რომ არ იყოს შემთხვევები, როცა თითქოსდა „საკითხზე ყურადღება გამახვილებულია, აყვანილია სათანადო სიმაღლეზე“ და ამ საკითხზე არის რამდენიმე გადაწყვეტილება, პრაქტიკულად კი საქმე ადგილიდან არ იძვრის.

დიდმნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ შეასრულონ და კიდევაც უნდა შეასრულონ საბჭოებმა აღმასრულებელი ორგანოების. მართვის მთელი აპარატის, თვითეული თანამდებობის პირის მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერებაში. მათ აქვთ კონტროლის საშუალებათა მდიდარი არსენალი. ეს არის თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა სესიებზე, დეპუტატის შეკითხვა, დეპუტატთა უფლება აღკვეთონ კანონიერების დარღვევა. ასეთი თვალსაზრისით არის განხილული საბჭოებისა და მათი დეპუტატების აქტივობის გაძლიერების ამოცანა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, მისი ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში, პარტიის ინიციატივით მიღებულ კანონში დეპუტატის სტატუსის შესახებ.

კვლავ ვითარდება და იხვეწება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყველა მხარე — სესიებზე ქვეყნის ეკონომიური და სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხების განხილვა, კანონმდებლობა, კონტროლი. ჩვენს ქვეყანაში თხუთმეტ წელიწადში განახლდა კანონმდებლობის მთელი დარგები. მართლა განვლილ ოთხ წელიწადში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა ისეთი მნიშვნელოვანი აქტები, როგორიც არის შრომის, სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები, წყლის კანონმდებლობის საფუძვლები. კანონები დეპუტატთა სტატუსის, სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ და სხვები. ამ დოკუმენტების პროექტები ყოველმხრივ განიხილეს დეპუტატებმა, ფართოდ ამსჯელა მასზე ჩვენმა საზოგადოებრიობამ.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მოქმედი კანონმდებლობის, ადგილობრივი საბჭოების, ძირეული პროფკავშირული ორგანოების მუშაობის სრულყოფისათვის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი აქტები მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც განვაგრძობთ განუხრელ მუშაობას ჩვენი დემოკრატიის საკანონმდებლო საფუძვლების შემდგომი სრულყოფისათვის. საბჭოთა კანონი პროგრესის მძლავრი სტიმული, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა ეფექტიანი მართვა-გამგეობის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა. იგი მუდამ უნდა იდგეს მშრომელი კაცის ინტერესების სადარაჯოზე, იყოს მისი ბრძენი მრჩეველი, ერთგული თანამეზრე, სამართლიანი დამცველი შრომაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

ამასთანავე სოციალისტური ჰუმანიზმი ყოველის პატივის ადამიანისადმი, ეროვნული ინტერნაციონალიზმი, ეროვნული ინტერნაციონალიზმი, ეროვნული ინტერნაციონალიზ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განვამტკიცოთ წარმატებანი, ვიპაროთ წინ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა მიმდინარე წლის ხუთი თვის შანძილზე მშენებლობის მიმდინარეობასა და რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა მუშაობას; თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, შემკვეთი და მშენებლობის მწარმოებელი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ნ. ჩურკინმა.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ს. ვაშაკიძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №№ 1, 2, 3, 5, 7, 12 ტრესტების მმართველები კ. ვ. გოგიჩაიშვილი, ვ. ა. ჭეროაძე, ვ. ი. გოგოლაძე, მ. ო. უსტიაშვილი, ო. ვ. კიკნაძე, კ. ნ. სოზაიშვილი, ამავე სამინისტროს № 6 ტრესტის მთავარი ინჟინერი ტ. შ. ბაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ა. ა. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. ხ. შენგელაია, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე კ. ხ. ბეგრელიშვილი.

როგორც თათბირზე აღინიშნა, კაპიტალური მშენებლობის მიმდინარე წლის ხუთი თვის პროგრამის შესრულებისათვის მუშაობის მაჩვენებლები მოწმობენ, რომ წინა წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა სამშენებლო ორგანიზაციების, შემკვეთების, საპროექტო ინსტიტუტების, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოო საქმიანობა. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში გარკვეული ხარვეზებია, რომლებიც გახდნენ თათბირის მსჯელობის საგანი.

კაპიტალური დაბანდების ათვისების გეგმა ხუთი თვის შედეგების მიხედვით მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 92 პროცენტით. ამასთან სახსრები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ათვისებულია შვიდი პროცენტით მეტი. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული. მაგრამ ხუთი თვის გეგმა შეადგენს წლიური პროგრამის მხოლოდ 34 პროცენტს. ეს ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში ორ-მშენებლო ორგანიზაციები, შემკვეთი სამინისტროები და უწყებანი ვალდებული არიან უზრუნველყონ კაპიტალური დაბანდების ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის ყოველთვიური შესრულების ტემპის ზრდა.

კვლავინდებურად ჩამორჩენაა რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროების ობიექტებზე, მიუხედავად იმისა, რომ სადირექტივო ორგანოებს არაერთგზის აღუნიშნავთ ასეთი მდგომარეობის დაუშვებლობა.

სახალხო მეურნეობის ბევრ დიდმნიშვნელოვან დარგში კაპიტალური დაბანდებების ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები დაფინანსების ცენტრალური წყაროებით არ შესრულებულა. ეს შეეხება საქართველოს სსრ დამზადების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და მთელ რიგ სხვა სამინისტროებსა და უწყებებს.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჩამორჩენა არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ათვისებაში. ამასთან სახსრები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ათვისებულია შვიდი პროცენტით მეტი. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული. მაგრამ ხუთი თვის გეგმა შეადგენს წლიური პროგრამის მხოლოდ 34 პროცენტს. ეს ნიშნავს, რომ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში ორ-მშენებლო ორგანიზაციები, შემკვეთი სამინისტროები და უწყებანი ვალდებული არიან უზრუნველყონ კაპიტალური დაბანდების ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის ყოველთვიური შესრულების ტემპის ზრდა.

კვლავინდებურად ჩამორჩენაა რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროების ობიექტებზე, მიუხედავად იმისა, რომ სადირექტივო ორგანოებს არაერთგზის აღუნიშნავთ ასეთი მდგომარეობის დაუშვებლობა.

სახალხო მეურნეობის ბევრ დიდმნიშვნელოვან დარგში კაპიტალური დაბანდებების ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები დაფინანსების ცენტრალური წყაროებით არ შესრულებულა. ეს შეეხება საქართველოს სსრ დამზადების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და მთელ რიგ სხვა სამინისტროებსა და უწყებებს.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ჩამორჩენა არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ათვისებაში. ამასთან დაკავშირებით თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა როგორც მოიჯარეებმა, ისე შემკვეთებმა მთავარი ყურადღება მიაპყრონ სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. აღინიშნა, რომ ახლო მომავალში ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად ენინგალის ჰიდროელექტროსადგურსა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის კასკადზე, ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტაში, სამტრედიის ხისდამუშავებელ კომბინატში, ონჩამიჩირის მეფრინველეობის ფაბრიკასა და რესპუბლიკის სხვა დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე.

რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ძირითადი ფონდების ამოქმედების დარგში. განსაკუთრებით ცუდადაა საქმე მსუბუქი მრეწველობის, სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების ობიექტებზე, მაღნეულის სამთოგამამდიდრებელ კომბინატში, სოხუმის ხელსაწყოთსაშენებელ, ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხნებში, რუსთავის ქიმიურ კომბინატში, სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკაში, შემოქმედის ჩაის ფაბრიკასა და სხვ. თათბირზე ითქვა, რომ სამინისტროები და უწყებანი რეგულარულად არ იხილავენ ასამუშავებელი მშენებლობების საქმის მდგომარეობას. სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემა ხომ მშენებლთა მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია.

საიჯარო სამუშაოთა გეგმა რესპუბლიკაში სამი პროცენტის გადაჭარბებითაა შესრულებული. ზრდამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 12 პროცენტი. ეს მოწმობს, რომ სამშენებლო ორგანიზაციათა უმრავლესობამ მუშაობა გაუმჯობესა. მაგრამ ზოგიერთმა სამშენებლო და სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ გეგმას თავი ვერ გაართვა.

თათბირზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბინაო მშენებლობაში კაპიტალური დაბანდების ათვისების გეგმა დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით მთლიანად ხუთ თვეში შესრულებულია. ხუთი თვის მანძილზე შესრულდა სცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმის 66 პროცენტი. ამასთან, რომ წლის პირველ ნახევარში გავანაღდოთ წლიური პროგრამის 50 პროცენტი, ივნისში საექსპლოატაციოდ უნდა გადავცეთ 250 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ამ უდიდესი მნიშვნელობის ამოცანის შესრულება მოითხოვს ძალების მაქსიმალურ კონცენტრაციას.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ პროდუქციის რეალიზაციის მაისის გეგმა შეასრულა, ხოლო მთლიანი პროდუქციის გეგმას 4 პროცენტით გადააჭარბა. მაგრამ ხუთი თვის ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა 97 და 103 პროცენტი.

რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია ის, რომ მომხმარებლები დროულად არ ანაღდებენ ანგარიშებს ძიღებული პროდუქციისათვის. დიდ მოვალეთა შორის არიან საქართველოს სსრ პენსიების, სასოფლო მშენებლობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, ცეკავშირი.

ხუთი თვის მანძილზე საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს დიდძალი ცემენტი, მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები, ინერტული მასალები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონელი და სხვ. ამასთან, არ სრულდება რბილი სახურავი და საკედლე მასალების გამოშვების გეგმები.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს პროდუქციის რეალიზაციისა და მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა რამდენადმე არ შეუსრულებია. სამინისტროს 45 სამრეწველო საწარმოდან რეალიზაციის გეგმას თავი ვერ გაართვა 19 საწარმომ, ხოლო მთლიანი პროდუქციის გეგმას — 18 საწარმომ. ორივე მაჩვენებლის მიხედვით ჩამორჩნენ თბილისის № 3, რუსთავისა და ქუთაისის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნები, თბილისის დიდპანელიანი სახლთმშენებლობის ქარხანა და სხვ.

ხუთი თვის მანძილზე გეგმა ვერ შეასრულა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორმა საწარმომ — მახარაძის რკინა-ბეტონის ნაკეთობის ქარხანამ (პროდუქციის რეალიზაციის მიხედვით) და გორის ხისდამუშავებელმა ქარხანამ (მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიხედვით). მთლიანად კი სამინისტროს რეალიზაციის გეგმა შეასრულა, ხოლო მთლიანი პროდუქციის გეგმას 4 პროცენტით გადააჭარბა. მაგრამ ხუთი თვის ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა 97 და 103 პროცენტი.

რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია ის, რომ მომხმარებლები დროულად არ ანაღდებენ ანგარიშებს ძიღებული პროდუქციისათვის. დიდ მოვალეთა შორის არიან საქართველოს სსრ პენსიების, სასოფლო მშენებლობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, ცეკავშირი.

ხუთი თვის მანძილზე საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს დიდძალი ცემენტი, მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები, ინერტული მასალები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონელი და სხვ. ამასთან, არ სრულდება რბილი სახურავი და საკედლე მასალების გამოშვების გეგმები.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს პროდუქციის რეალიზაციისა და მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა რამდენადმე არ შეუსრულებია. სამინისტროს 45 სამრეწველო საწარმოდან რეალიზაციის გეგმას თავი ვერ გაართვა 19 საწარმომ, ხოლო მთლიანი პროდუქციის გეგმას — 18 საწარმომ. ორივე მაჩვენებლის მიხედვით ჩამორჩნენ თბილისის № 3, რუსთავისა და ქუთაისის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნები, თბილისის დიდპანელიანი სახლთმშენებლობის ქარხანა და სხვ.

ხუთი თვის მანძილზე გეგმა ვერ შეასრულა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორმა საწარმომ — მახარაძის რკინა-ბეტონის ნაკეთობის ქარხანამ (პროდუქციის რეალიზაციის მიხედვით) და გორის ხისდამუშავებელმა ქარხანამ (მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიხედვით). მთლიანად კი სამინისტროს რეალიზაციის გეგმა შეასრულა, ხოლო მთლიანი პროდუქციის გეგმას 4 პროცენტით გადააჭარბა. მაგრამ ხუთი თვის ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა 97 და 103 პროცენტი.

რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია ის, რომ მომხმარებლები დროულად არ ანაღდებენ ანგარიშებს ძიღებული პროდუქციისათვის. დიდ მოვალეთა შორის არიან საქართველოს სსრ პენსიების, სასოფლო მშენებლობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, ცეკავშირი.

ხუთი თვის მანძილზე საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს დიდძალი ცემენტი, მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები, ინერტული მასალები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონელი და სხვ. ამასთან, არ სრულდება რბილი სახურავი და საკედლე მასალების გამოშვების გეგმები.

ზრდიან პროდუქციის ნარმოებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომუნალური მეურნეობისა და ეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა

ბაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშეიდობიანობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოიხილა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის ო. ოლოლაშვილის მოხსენება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრელ წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და კომათის მონაწილეებმა შედეგი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ვ. ხოდელმა, ვ. გოცირიძემ, კ. მოდებაძემ, ჭ. ჯულაყიძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ სამინისტროსა და მისი საწარმოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გასულ წელთან შედარებით უფრო კარგად სრულდება პროდუქციის წარმოების გეგმები, გაუმჯობესდა მისი ხარისხი.

სასაქონლო პროდუქციის წარმოების 1974 წლის ოთხი თვის დავალება შესრულდა 102,5 პროცენტით, გამოშვებულია 730 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ცემენტის გამოშვების გეგმა შესრულდა 191,4 პროცენტით, მოსაპირკეთებელი ფილებისა — 104,8, მეთლახის ფილებისა — 114,3, კირისა — 100,4, საშენი ნახევარფაბიკურისა — 107,5, ინერტული მასალებისა — 133,4 პროცენტით და სხვ. ოთხი თვის მანძილზე გეგმის გადამეტებით წარმოებულია 160 ათასი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქონელი.

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ საშენ მასალათა მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი: 36 საწარმოდან 11 საწარმომ ვერ შეასრულა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ჯერ კიდევ დიდია მათი დებიტორული დავალიანება.

პროდუქცია ყოველთვის როდი შეესაბამება დადგენილი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. ნაკლოვანებანია კაპიტალდაბანდებათა გეგმების შესრულებაშიც.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ესაკიამ.

კომისიის სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ვეაშაძე. (საინფორმაციო).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 ივნისის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

კონსტანტინე ფილიპეს-ძე **გაგნიძე** — „საქმთავარენერგოს“ ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი — ელექტროფიკაციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამსახურების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

სერგო სოლომონის-ძე **დოლიძე** — ბათუმის ი. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი — ნავთობის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამსახურების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

გიორგი ზაქარიას-ძე **ტატიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორი — პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამსახურების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ფოტოინფორმაცია



ს რული სიმძლავრით ამუშავდა პისტერიცის (ბერ) აზოტოვანი სასუქების უდიდესი ქარხანის ამიაკის მწარმოებელი პირველი დანადგარი. ქარხანა იგება სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ფარგლებში.

სოციალიზმის ქვეყნებში

ბულგარეთმა სარწყავი ფართობების გაფართოებასა და წყლის რეზერვუარების უფრო სრულად გამოყენებაში დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

სურათზე: თბილისელი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი ი. გურგენიძე და მისი კუბელი კოლეგები „ბუენტუდის“ კაშხალთან პინარ-დელ-რიოს პროვინციაში.



კინო უცხოეთში

15 საუკეთესოთა შორის

კანის კინოფესტივალზე კონკურსგარეშე უჩვენეს ქართველი კინორეჟისორის ოთარ იოსელიანის ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“.

იტალიის კომპარტიის ორგანო „უნიტა“ აქვეყნებს იტალიელი კინომცოდნის უგო კაზირაგის წერილს, რომელშიც განხილულია კონკურსგარეშე ნაჩვენები ფილმები „თხუთმეტი საუკეთესო რეჟისორის“ შესარჩევად. მათ შორის არის ქართველი კინორეჟისორის აღნიშნული ფილმიც.

ქანინის დებიუტი

ეს მოხდა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფესტივალი გაიხსნა ცხობილი იტალიელი რეჟისორის ფრედერიკო ფელინის ფილმით „ჩე შეს მახსოვხარ“, სადაც მთავარ როლს ასრულებს არაპროფესიონალი მსახიობი, ლარიბი ახალგაზრდა 28 წლის ბრუნო ანინი. იგი ფესტივალზე ჩავიდა ნახესხები ფულით, რათა დასწრებოდა გახსნის ცერემონიალს, მაგრამ მისი გვარი „მოწვეულთა სიაში“ არ აღმოჩნდა. ამასთან მას არ ეცვა ძვირფასი სმოკინგი, უორმლიაოდაც არ უშვებდნენ დამსწრეებს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა თავი მოეკლა და კანის ერთ-ერთ სასტუმროში დიდი დოზით მიიღო ძილის წამალი. ბრუნო ანინის დროზე მიუსწრეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

კასიუს კლეი— კინოვარს კვლავი

ამერიკელი კინოპროდიუსერი ჯონ კრისტი აპირებს ფილმის მონაწილეობისათვის მიიწვიოს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი (ერეშში 3 ამად კასიუს კლეი). კინოპროდიუსერს გადაწყვეტილი აქვს ეკვენი ო. ნილის დრამის „იძაერატორ იუნიუსის“ ეკრანიზება. კასიუს კლეიმ უნდა შეასრულოს მთავარი როლი მოკრივე იუნუს ბრუტუსისა, რომელიც შემდგომში იმპერატორი ხდება. კლეი დარწმუნებულია, რომ ამ როლს ბრწყინვალედ გაართმევს თავს.

საგჭოთა რეჟისორის გამარჯვება

ლიკსიაში გამართულ მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე მთავარი პრემია „ოქროს გლობუსი“ მიეკუთვნა საბჭოთა რეჟისორს ეკატერინე ვერმიშევას ფილმისათვის „მოთხრობა პირველ გაზაფხულზე“. ეს მისი უკვე მეორე „ოქროს გლობუსია“. პირველი მიიღო ამ ორი წლის წინათ ფილმისათვის „შვილებიც დაიზრდებიან“.

ფაბიანის ახალი როლი

ტურინში პარიზიდან ჩავიდა ფრანგი მსახიობი ჟალი ფრანსუას ფაბიანი. იგი მიწვეულია ჟალის მთავარი როლის შემსრულებლად ფილმში „ერთი ქალი, ერთი ქალაქი“; დამდგმელი რეჟისორია რომოლო გუერიერი. ფილმი დადგმულია ტურინის პოლიციის კომისრის მარკატო ნოველის რომანის მიხედვით.

საერთაშორისო შენიშვნები

ბოლო ელვა კოლონიურ იმპერიას

ამჟამად პორტუგალიაში სამინაო პოლიტიკის მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებთან ერთად ამ ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწეები ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემად კოლონიურ საკითხს ასახელებენ.

წლების განმავლობაში პორტუგალიის მთავრობა გააფთრებით იბრძოდა აფრიკაში „დარჩენისათვის“, სადაც მის ორ კოლონიაში — ანგოლასა და მოზამბიკში თავმოყრილია აურაცხელი წიაღისეული სიმდიდრე. ანგოლის ჩრდილოეთ რაიონში, კაბინდაში ნავთობის ჭაბურღილები ყოველდღიურად 150.000 ბარელ ნავთობს იძლევიან. ეს ორჯერ აღემატება პორტუგალიის მოთხოვნილებას. დასავლეთში დიდი ხანია რაც კაბინდას „მეორე კუვეიტს“ უწოდებენ. სამხრეთ ანგოლაში, კი

ინგის მაღაროებში მხოლოდ ახლა იწყება ოქრისად მდიდარი შედგენილობის რკინის მადნის მოპოვება, რომლის მარაგი, ისე როგორც კაბინდის ნავთობისა, ფანტასტიკურია. არანაკლებ მდიდარია მოზამბიკიც. მაგრამ აფრიკაში „ყოფნის“ ყოველი წელი პორტუგალიის ბიუჯეტის 50 პროცენტს ნთქავს, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ისედაც სუსტ ეკონომიკას. მით უმეტეს, რომ „საერთო ბაზართან“ 1972 წლის ივლისში დადებული ხელშეკრულების ძალით 1977 წელს პორტუგალიის მრეწველობა პირისპირ აღმოჩნდება „საერთო ბაზართან“ და მასთან კონკურენციას ამთავითვე მოიითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს, რაც შეუძლებელია ძვირადღირებული ომის პირობებში.

გარკვეული პრობლემა არსებობს პორტუგალიელ კოლონისტთა სახითაც. წლების მანძილზე ხალაზარისა და კაეტანუს მთავრობები ფართო აგიტაციას ეწეოდნენ პორტუგალიის მოსახლეობაში აფრიკაში საცხოვრებლად გადასახლების მიზნით. ოფიციალურად . პორტუგალიაში „კარგა ხანია რაც არ არსებობს ტერმინი „კოლონია“. არსებობს მხოლოდ „ზღვისიმიერი პროვინციები“, სადაც ყველა პირობებს უქმნიდნენ თეთრკანიანი კოლონისტებს, რომლებსაც მტკიცე ბაზა უნდა შეექმნათ მეტროპოლიის ბატონობისათვის. მართო მოზამბიკში დღეს 200 ათასი თეთრკანიანი კოლონისტი ცხოვრობს.

ე. წ. „აქტიურმა კოლონისტებმა“ უკვე მოასწრეს საკუთარი ორგანიზაციის შექმნა „დასავლეთთან სოლიდარობის დამოუკიდებელი ფრონტის“ სახელწოდებით. სხვანაირად მას ფიკო-ს უწოდებენ, რაც პორტუგალიურად ნიმნავს „მე ვრჩები“.

დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პორტუგალიის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მ. სოარიშმა 15 მაისს მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, რომ კოლონიებში არსებობს „როდეზიის ტიპის თეთრი სეპარატიზმის რეალური საფრთხე“. რასაკვირველია, 13 წლის უბერსპექტივო ომით დაღლილი არმია არ დუუჭერს მხარს ახალ ავანტიურას, მაგრამ პორტუგალიელი რასისტები სხვა მოკავშირესაც ადვილად გამონახავენ როგორც აფრიკის კონტინენტზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამჟამად როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოფიციალური წრეები არც კი ცდილობენ დამალონ ან შენიღბონ თავიანთი შეშფოთება პორტუგალიის ამბების გამო. შეშფოთების საბაბი კი მათ საკმაოდ დიდი აქვთ — პორტუგალიის ფაშისტური რეჟიმის სასით მათ უკვე დაკარგეს მეტად სასარგებლო მოკავშირე. შემთხვევითი არ არის, რომ ანგოლიდან და მოზამბიკიდან სწორედ როდეზიაში გარბიან გესტაპოს პორტუგალიური ნაირსახეობის — პიდეს ჯალათები.

პორტუგალიის ამბებით გამოწვეულ შეშფოთებას არ მალავენ პენტაგონისა და ნატოს მესვეურენიც. ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა პენტაგონის დაინტერესება მოზამბიკის აეროდრომებითა და ნავსადგურებით. სპეციალისტები მუუთითებენ იმ ფაქტზე, რომ საჭიროების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების მთელი მეშვიდე ფლოტი დაეტევა მოზამბიკის ახალ პორტ ნაკალაში, ა. წ. მისაში ინგლისურმა „ტაიმსი“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით — „სპინოლას მოძხრეები ნატოს შეშფოთებას იწვევენ“. წერილში აღნიშნულია, რომ პორტუგალიის ახალი ხელმძღვანელობის ანტიკოლონიურმა პოლიტიკამ ადვილად შეიძლება სრული ქაოსი შეიტანოს ნატოს გეგმებში ინდოეთის ოკეანის მიმართ. თუმცა ოფიციალურად ინდოეთის ოკეანე არ ითვლება ნატოს მოქმედების ზონად, მაგრამ, წერილის ავტორის ცნობით, ატლანტიკის ოკეანის გაერთიანებული სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდლობას შემუშავებული აქვს კეთილი იმედის კონცხის ირგვლივ ხავაგრო და განსაკუთრებით კი ნავთობგადასაზიდი გზების დაცვის საგანგებო გეგმა „კრიზისის პერიოდისათვის“. იმგლისური გაზეთის ცნობით, ნატოს სამხედრო სტრატეგების გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოზამბიკს. საქმე ის არის, რომ დასავლეთ ევროპელთა აზრით, სუეცის არხის გახსნის შემდეგაც კი კომპანიები ფართოდ გამოიყენებენ გზას კეთილი იმედის კონცხის ირგვლივ. თავის მხრივ პენტაგონი უკვე წლების განმავლობაში სარგებლობს ბორის კუნძულებზე ბაზების იჯარის უფლებით. ამ რამდენიმე ხნის წინათ ოუტანუს ყოფილმა მთავრობამ ბაზა გააფრთხილა იჯარის ვადა. სამაგიეროდ, ამერიკა იარაღით ამარაგებდა პორტუგალიას. ცხადია, რომ კოლონიური ომის შეწყვეტის პირობებში შემცირდება მოთხოვნილება იარაღის იმპორტზე და გამორიცხული იარის ის, რომ ახალი კუთხით დაისვას ბაზების იჯარის საკითხიც.

ამრიგად, კოლონიური საკითხი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე პორტუგალიის რეჟიმის „აჯილეფის ქუსლს“ წარმოადგენდა, პორტუგალიის შიდაპოლიტიკური ევოლუციის მძლავრ კატალიზატორად იქცა და მის გადაუჭრელად შეუძლებელია ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის წარმატება. ამიტომ არის, რომ დროებითი მთავრობის პირველივე ღონისძიებანი სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. ზამბიის დედაქალაქ ლუსაკაში და ლონდონში უკვე გაიმართა მ. სოარიშის მოლაპარაკების პირველი ტური მოზამბიკის გამთავისუფლების ფრონტის (ფრელიმო) თავმჯდომარე სამორა მაშელოთან და გვინეისა და მწვანე კონცხის დამოუკიდებლობის აფრიკული პარტიის დელეგაციასთან. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებას დადებითი შეფასება მისცა ორივე მხარემ და ვარაუდობენ, რომ კიდევ უფრო კონსტრუქციული იქნება მოლაპარაკების მეორე ტური.

რასაკვირველია, ჯერ კიდევ ნაადრევია იმის მტკიცება, რომ აღარავითარი საფრთხე აღარ ელის ანგოლის, მოზამბიკისა და გვინეა-ბისაუს ხალხთა ეროვნულ დამოუკიდებლობას. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ რთული სიტუაციაა თვით პორტუგალიაში. უკანასკნელ დღეებში ქვეყანაში მეიქმნა 70-ზე მეტი პოლიტიკური პარტია, რომელთაგან ბევრი ამკარა მემარჯვენე რეაქციული პროგრამით გამოდის; კოლონიური პრობლემის გადაჭრის საკითხი ერთიანი აზრი არ არსებობს ქვეყნის ხელმძღვანელობაში და სხვ. მაგრამ არსებობს დიალექტიკური განვითარების გარდუვალობის კანონი, რომელმაც უკვე დააყენა დღის წესრიგში უკანასკნელი კოლონიური იმპერიის ლიკვიდაციის საკითხი და აქ უკვე უძლურია როგორც საერთაშორისო ნეოკოლონიური წრეების, ისე პორტუგალიის შიდა რეაქციის ყოველგვარი მანევრები.

დოც. ს. ცინცაძე.

ახალი დროშა

მეგარდი ერთიანობა

მუშაობა დაქმთავრა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს სესიამ

ბოგადიშუ, 13 ივნისი. (საკადესი). ხომალის დედაქალაქში მუშაობა დასამთავრა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს 28-ე სესიამ.

მინისტრების ყურადღების ცენტრში იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა კონტინენტის საბოლოო დეკოლონიზაცია, განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი გაძლიერება, აფრიკის სახელმწიფოთა შორის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოება, აფრიკის ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცება. სესიამ დადასტურა თავისუფალი აფრიკის მტკიცე გადაწყვეტილება გაამრავლოს ძალები კონტინენტის ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის. აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ნზო ეკანგაკამ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შემუშავდეს აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობების მოქმედების ერთიანი გეგმა პორტუგალიაში ამას წინათ მიმდარი ამბების შედეგად შექმნილი ვითარების გათვალისწინებით. თავისუფალი აფრიკის წარმომადგენლებმა გადაჭრით დაუჭირეს მხარი გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის ეროვნულ სუვერენიტეტს, აგრეთვე იმ ტერიტორიების ხალხთა დაუოუკიდებლობის ხელშეუხებლობას, რომლებიც პორტუგალიის მართვას ექვემდებარებიან.

მინისტრებმა დაგმეს ტერორი და პოლიციელთა რეპრესიები ნამიბიაში, რომელიც უკანონოდ ოკუპირებული აქვთ სამხრეთაფრიკელ რასისტებს. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ნამიბიელთა განმათავისუფლებელ ბრძოლის ავანგარდის — სამხრეთდასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის წინადადებას იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიონ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს სხდომა ნამიბიაში შექმნილი სერიოზული ვითარების განსახილველად.

სესიაზე მკაცრად დაგმეს დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც ყოველნაირად აბრკოლებენ კონტინენტის დეკოლონიზაციის პროცესს და ხელს უწყობენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ როდეზიის რასისტულ რეჟიმებს.

სესიამ კმაყოფილებით აღნიშნა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნ

კონკურსი: ჩვეულებრივი და საზღვესასნაულო დ ლ ე ე ბ ი



ბ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის V საერთაშორისო კონკურსზე დაიწყო „სამუშაო“ დღეები. 12 ივნისს როიალის აკორდებმა და ვიოლონჩელის ბგერებმა კონსერვატორიის დიდ დარბაზსა და კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ყველას აუწყეს, რომ ახალგაზრდა მუსიკოსებმა დაიწყეს თავიანთი შრომითი შეჯიბრება.

მსმენელებმა ღირსეულად შეაფასეს 23 წლის ბულგარელი ვიოლონჩელისტის დიმიტრი ფურნაჯიევისა და მისი ტოლის რუმინელი პიანისტის მიხაი ზახარესკუს ხელოვნება, რომლებიც პირველად წარსდგნენ საერთაშორისო ეტიურის წინაშე.

კონკურსის პროგრამა რთული და მრავალფეროვანია. თვითეულმა შემსრულებელმა თავისი მესაძლებლობანი უნდა გამოავლინოს როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე რეპერტუარში, აუცილებლად შეასრულოს ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

ამავე დღეს გამოვიდნენ უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების მუსიკოსები. საკონკურსო ბრძოლაში ჩაებნენ საბჭოთა მუსიკოსებიც.

ჩვენს მუსიკალურ სკოლას წარმოადგენს ხუთი ძოკავშირე რესპუბლიკის 40 შემსრულებელი. მათ შორის არიან ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემსრულებლებიც და უკვე საკმაოდ გამოცდილი ოსტატებიც.

მოსკოვის კონკურსებს თექვსმეტი წელი შეუსრულდა. მისი ბევრი ლაურეატი აღიარებული მუსიკოს-შემსრულებელი გახდა, მათ ჰყავთ თავიანთი ძოწყფეები. ბევრ მათგანს ნახავთ ეიურის წევრთა და მსმენელთა შორისაც.

— ნიკოლაკის სახელობის კონკურსზე გამარჯვებამ,—თქვა მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა ირინე ბოჩკოვამ, — განსაზღვრა ჩემი შემოქმედებითი გზა, გამახსნა ყველაზე ფართო შესაძლებლობანი საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

მის სიტყვებს უერთდება სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი ევგენი ნესტერენკო: — დარწმუნებული ვარ, რომ ახლანდელი კონკურსი მისი მონაწილეებისათვის იქნება ოსტატობის სკოლა, ხელოვნებაში დიდი ცხოვრების დასაწყისი.

ი. ვეძლერი,
ვ. კლიმენკო,
(საკავშირო კორ.)

თბ ო მ ა ვ ა ლ

„კომეტას“ რეისები

მოგზაურობებისა და ზღვით სეირნობის მოყვარულთა განკარგულებაშია კიდევ ერთი კომფორტული თბომავალი „კომეტა“, რომელმაც პირველად დაიწყო კურსირება ბათუმსა და ანაპას შორის. ეს 118-ადგილიანი სამგზავრო გემი ივნისში ბათუმიდან დღეგამოშვებით გადის რიესში. ზღვაში გასვლის დროა დილა, სოლო დანიშნულების ნავსადგურში შედის იმავე დღის საღამოს. მანძილს ბათუმსა და ანაპას შორის გემი 12 საათში ფარავს.

„კომეტა“ შეივლის ფოთში, სოხუმში, გაგრაში, ადლერში, სოჭში, ტუაფსეში, გელენჯიკსა და ნოვოროსიისკში.

ივლისში თბომავალი ყოველდღე შეასრულებს რეისებს. (საქინფორმი).

„გამარჯვების“ პ ი რ ვ ე ლ ი პ რ ო დ უ ქ ც ი ა

გარდაბანი. (საკ. კორ.). თბილისისა და რუსთავის ფრინველის მაღაზიებში უკვე გაიყიდა სამგორის ველიდან შემოსული მეხორცული ჯიშის ქათმები.

სოფელ გამარჯვებაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა უნიკალური მეფრინველეობის ფაბრიკის პირველი რიგი. როცა საექსპლოატაციოდ მეორე რიგიც გადაეცემა, თბილისისა და რუსთავის მოსახლეობა ყოველწლიურად მიიღებს ოთხ მილიონ ფრთა ქათამს.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

ნ. ანასტასიანი — დიმილი

ჭადრაკის დაფებთან

ნიცა. სსრ კავშირის ნაკრები გაანაგრძობს ლიდერობას მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში. მეორე ადგილისათვის, რომელიც აგრეთვე იძლევა ფინალში მოხვედრის უფლებას, მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული. ჯერჯერობით უკეთესი შედეგი აქვს უფლისს გუნდს.

დანარჩენ ჯგუფებში ლიდერობენ აშშ-ის, იუგოსლავიის, უნგრეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ფილიპინებისა და არგენტინის გუნდები.

კისლოვოდსკი. მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ვალენტინა კოზლოვსკაიასა და ირინე ლევიტინას ნახევარფინალური მატჩის მერვე პარტია არ შედგა კოზლოვსკაიას ავადმყოფობის გამო.

მ ე ო რ ე ლ ი გ ა ბ ი

ბაიმართა მეორე ლიგის მესამე ზონის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები ფეხბურთში: ბათუმის „დინამო“ — ლენინაკანის „შირაქი“ — 0:0, გორის „დილა“ — „კიროვაკანის „ლორი“ — 9:1, სამტრედიის „ლოკომოტივი“ — კიროვაბადის „დინამო“ — 2:0, მახარაძის „მერცხალი“—სუმგაითის „ფოლადი“ — 2:1, ზუგდიდის „დინამო“ — ფოთის „კოლხეთი“ — 1:0, ლანჩხუთის „გურია“ — ბელაია კოლიტეის „კალიტკა“ — 1:0.

ჩემპიონატის პირველი ფრე

გუშინ მაინის ფრანკფურტში „ტაუნ სტადიონზე“ გაიმართა მსოფლიოს X ჩემპიონატის პირველი მატჩი: ბრაზილია-იუგოსლავია.

შეხვედრის პირველი ნახევარი ბრაზილიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, შესვენების შემდეგ კი უფრო აქტიურნი იყვნენ იუგოსლავიელები. 0:0 — შეეფარიელი არბიტრის რ. შერერის ფინალურმა სასტვენმა ჩემპიონატში პირველი ფრე აღნიშნა.

დღეს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმართება 3 მატჩი: გდრ-ავსტრალია, გფრ-ჩილე, ზაირი-შოტლანდია.

ჩ ო გ ბ უ რ თ ი მ ო რ ო ზ ო ვ ა — ნ ა ხ ე ვ ა რ ფ ი ნ ა ლ ი ს ი

პარიზი. 11 ივნისი. (საკდსი). მოსკოველი მორაზოვა საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა. ეს შეჯიბრება გრუნტიან მოედნებზე მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლება. მეოთხედფინალში მან დაამარცხა მარია ნაუმანოვა (ჩეხოსლოვაკია) — 6:3, 6:2 და ფინალში გასვლისათვის შეხვდება არგენტინელ სპორტსმენს რაკელ ზიეკაფრს.

წარუმატებლად გამოვიდნენ „როლან გაროს“ მოედნებზე ჩვენი ვაჟები. სსრ კავშირის ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი ბრძოლას მეორე წრეშივე გამოეთიშა. იგი დამარცხდა იუგოსლავ ზელკო ფრანულოვიჩთან — 4:6, 6:2, 1:6. მეორე შეხვედრაში დამარცხდა თეიმურაზ კაკულია, რომელმაც ფრანგ რუიეს მოუგო პირველი პარტია — 6:2, შემდეგ კი წააგო — 2:6, 1:6.

თუმცა, გვრჩება კიდევ წყვილთა შეხვედრების იმედი.

ი. თ ო რ ქ ი ა



გარდაიცვალა საქართველოს ... ინსტიტუტის ... ინსტიტუტის ... ...